

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). სასამართლოსათვის იგი სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ საავტორო უფლებების სრული მიმოხილვა მოცემული დოკუმენტის ბოლოს.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour Européenne des Droits de l'Homme, 2012. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.

საინფორმაციო შეტყობინება სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე #147

დეკემბერი, 2011

შვაბე და M.G. (Schwabe and M.G.) გერმანიის წინააღმდეგ - 8080/08
გადაწყვეტილება 1.12.2011 [V სექცია]

მე-5 მუხლი

მუხლი 5.1

კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება

დაპატიმრება, დემონსტრაციაში მონაწილეობის შეზღუდვის მიზნით: *დარღვევა*

მე-11 მუხლი

მუხლი 11.1

მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება

დაპატიმრება, დემონსტრაციაში მონაწილეობის შეზღუდვის მიზნით: *დარღვევა*

ფაქტები - განმცხადებლები ავტომობილით გაემართნენ როსტოკში, ჰელიგენდამში 2007 წლის 6-8 ივნისს დაგეგმილი დიდი რვიანის სამიტის საწინააღმდეგო დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღების მიზნით. 2007 წლის 3 ივნისს მათი ვინაობა შეამოწმა პოლიციამ ვალდების ციხის წინ მდებარე ავტოსადგომზე. მათი ავტომობილის ჩხრეკის შედეგად პოლიციამ აღმოაჩინა ბანერები წარწერებით, „თავისუფლება ყველა პატიმარს“ და „გათავისუფლეთ ყველა ახლავე“ და დააკავა ისინი. მომდევნო დღეს რაიონულმა სასამართლომ მათი დაპატიმრება ბრძანა 9 ივნისამდე, რათა თავიდან აცილებულიყო მათ მიერ გარდაუვალი დანაშაულის ჩადენა. სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა რაიონული სასამართლოს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება, დაადგინა რა რომ განმცხადებლები თავიანთი ბანერებით სხვებს წააქეზებდნენ ვალდების ციხიდან პატიმრების გათავისუფლებისკენ. სააპელაციო სასამართლომ უარი განაცხადა განმცხადებლების შემდგომი საჩივრების მიღებაზე, მიიჩნია რა, რომ პოლიცია უფლებამოსილი იყო ევარაუდა, რომ განმცხადებლები მიემართებოდნენ როსტოკში და

გამოიყენებდნენ ბანერებს დემონსტრაციაზე, რომელიც ნაწილობრივ ძალადობრივი იყო. პატიმრების გათავისუფლების მოწოდებისთვის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით განმცხადებლების წინააღმდეგ საქმისწარმოება არ დაწყებულა.

კანონმდებლობა - მუხლი 5.1: 5.1 მუხლის მეორე ალტერნატივა (მუხლი 5.1.C) სახელმწიფოს უფლებამოსილს ხდის, დააკავოს პირი კონკრეტული და განსაზღვრული სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად, მისი ჩადენის დროის, ადგილისა და მსხვერპლთა ცოდნის პირობებში. განმცხადებლების საქმეზე ეროვნულმა სასამართლოებმა განსხვავებულად განსაზღვრეს განმცხადებლის მიერ სავარაუდოდ ჩასადენი კონკრეტული სამართალდარღვევა: რაიონულმა და რეგიონულმა სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ განმცხადებლებს განზრახული ქონდათ სხვების წაქეზება ვალდევის ციხეში მყოფ პატიმართა გათავისუფლებისკენ, სააპელაციო სასამართლომ კი მიიჩნია, რომ მათი განზრახვა იყო ბანერებით მოეწოდებინათ როსტოკში დემონსტრანტებისთვის ძალის გამოყენებით პატიმართა გათავისუფლებისკენ. ამასთან, ბანერზე არსებული წარწერები შესაძლოა განსხვავებულად აღქმულიყო; თავის მხრივ განმცხადებლებმა ეროვნულ სასამართლოებში საქმის განხილვისას განმარტეს რომ სლოგანები მიმართული იყო პოლიციისკენ, მოუწოდებდნენ რა შეეწყვიტათ დიდი რაოდენობით დემონსტრანტების დაპატიმრება და არ ისახავდა მიზნად პატიმართა ძალის გამოყენებით გათავისუფლებისკენ მოწოდებას. უფრო მეტიც, განმცხადებლებს თან არ ქონდათ რაიმე ინსტრუმენტები, რაც შეიძლება გამოყენებულიყო პატიმართა ძალის გამოყენებით გათავისუფლებისთვის. შესაბამისად [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ განმცხადებლების განგრძობადი პატიმრობა შეიძლება გონივრულად მიჩნეულიყო საკმარისად კონკრეტული და განსაზღვრული სამართალდარღვევის ჩადენის თავიდან აცილებისთვის აუცილებელ ზომად. ამის გამართლება ასევე ვერ მოხდებოდა 5.1.b მუხლის საფუძველზე - „კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად“ - ვინაიდან პოლიციას არ დაუვალდებულებია ისინი, საკუთარ საცხოვრებელ ადგილას პოლიციის განყოფილებაში ანგარიში წარედგინათ, არც სამიტთან დაკავშირებული დემონსტრაციების ჩატარების ადგილას შესვლა აუკრძალავთ. განმცხადებლების პრევენციული დაკავება არ იყო გამართლებული კონვენციის 5.1. მუხლის სხვა დანარჩენი ქვეპუნქტებით.

დადგენილება: დარღვევა (ერთხმად).

მე-11 მუხლი: დიდი რვიანის სამიტის მთელი პერიოდის განმავლობაში მათი დაპატიმრების გათვალისწინებით, განმცხადებლებს შეეზღუდათ სამიტის საწინააღმდეგო დემონსტრაციაში მონაწილეობა, რომელიც აღმოჩნდა რომ არ ჩატარდა ძალადობრივად. მოპასუხე სახელმწიფოს მიერ გამოთქმული ვარაუდის საპირისპიროდ ვერ დადასტურდა ისიც, რომ თვით განმცხადებლებს ქონდათ რაიმე ძალადობრივი განზრახვა. მათ არ აღმოაჩნდათ თან რაიმე იარაღი, მათი ბანერების ამბივალენტური შინაარსი ვერ გამოდგებოდა იმის მტკიცებულებად, რომ მათ განზრახული ქონდათ სხვების მოწოდება ძალადობისკენ. შესაბამისად, განმცხადებლების დაპატიმრებით მოხდა მათი მშვიდობიანი შეკრების უფლებაში ჩარევა. ამ ჩარევის პროპორციულობასთან მიმართებით სასამართლომ აღიარა სახელმწიფო ორგანოების წინაშე არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევა, უზრუნველყოთ სამიტის მონაწილეთა უსაფრთხოება და შეენარჩუნებინათ საზოგადოებრივი წესრიგი. თუმცა, დემონსტრაციაში მონაწილეობით განმცხადებლები გეგმავდნენ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დებატში მონაწილეობას, რომლის მიზანი იყო დიდი რაოდენობით დემონსტრანტების დაპატიმრების კრიტიკა და არა ძალადობა ან სხვების მოწოდება ძალადობისკენ. მათი თითქმის ექვს-დღიანი პატიმრობა, რაც სასამართლომ მე-5 მუხლის დარღვევად მიიჩნია, არ იყო სამიტის დროს დაპატიმრებული დემონსტრანტების გათავისუფლებისკენ სხვების სავარაუდო წახალისების თავიდან აცილების პროპორციული ზომა. სახელმწიფო ორგანოებისთვის ხელმისაწვდომი იყო სხვა უფრო ეფექტური, მაგრამ ნაკლებად მკაცრი ზომები ამ მიზნის მისაღწევად, როგორც არის განმცხადებლების ხელთ არსებული ბანერების ჩამორთმევა.

დადგენილება: დარღვევა (ერთხმად).

41-ე მუხლი: 3 000 ევრო თითოეულ განმცხადებელს არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ.

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
სამდივნოს მიერ მომზადებული ეს მოკლე შეჯამება სავალდებულო არ არის
სასამართლოსთვის

სასამართლო გადაწყვეტილებების მოკლე შეჯამებებისთვის მიჰყევით ბმულს [Case-Law Information Notes](#)

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012 წელი.

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით (www.coe.int/humanrightstrustfund). იგი სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს არ ატარებს და არც მის ხარისხზე აკისრებს პასუხისმგებლობას. მოცემული დოკუმენტი შეიძლება ჩამოტვირთულ იქნას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC სასამართლო პრაქტიკის მონაცემთა ბაზიდან (<http://hudoc.echr.coe.int>) ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზიდან, რომელთანაც სასამართლომ მოახდინა მისი გაზიარება. დასაშვებია თარგმანის რეპროდუქცირება არაკომერციული მიზნებისათვის იმ პირობით, რომ მოხდება საქმის სრული სახელწოდების ციტირება, მოცემულ საავტორო უფლებების აღნიშვნასა და ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდზე მითითებით. წინამდებარე თარგმანის ნებისმიერი ნაწილის კომერციული მიზნებით გამოყენების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვწეროთ შემდეგ მისამართზე: publishing@echr.coe.int.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2012

The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (<http://hudoc.echr.coe.int>) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact publishing@echr.coe.int.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2012

Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme (<http://hudoc.echr.coe.int>), ou de toute autre base de données à laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se

servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : publishing@echr.coe.int.